137/12
1946

ოქტომბრელი

1946
აგვისტო

№8

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

ყოველთვიური ჟურნალი
მცირეწლოვანთათვის

№ 8

აგვისტო
1946

წელიწადი მეთექვსმეტე

ოქტომბრელი

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

„Октомбрели" ежемесячный детский
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

გამომცემლობა
„კომუნისტი"

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. 3-81-85

შინაარსი

	გვ.
ი. აბაშიძე—პატარას (ლექსი)—ნახ. ვ. ჯაფარიძისა	1
რ. საგითი—წვეთის ნაამბობი	2
დედობილი—(ამბავი)	2
ცქვიტი—გულადი წრუწუნა (მოთხრობა)—ნახ. შ. ცხადაძისა	3
მ. ლებანიძე—წყაროს დაბადება (ლექსი)—ნახ. შ. ცხადაძისა	5
ბაჭიები (ლიტვური ზღაპარი)	5
ნ. ნაკაშიძე—კახაბერი (მოთხრობა)—ნახ. შ. ცხადაძისა	6
გრ. აბაშიძე—ყურშა (ლექსი)—ნახ. ირ. დივნოგორცევასი	7
გ. კაჭახიძე—ზღვაზე (ლექსი)—ნახ. ა. გიგოლაშვილისა	8
ვ. შუბლაძე—ჩიტუნიავ! (ლექსი)	8
ბოროტი მგლისა და მელას ამბავი (რუსული ზღაპარი)	9
ე. ფურცხვანიძე—ნიბლიას შვილობილი (ამბავი)—ნახ. შ. ცხადაძისა	10
ი. სიხარულიძე—თვალუუფუნა ჟუტუნა (ლექსი)	12
ნ. ნაგრელი—ოთხი თიკანი (მოთხრობა)—ნახ. ნ. იანქოშვილისა	13
გ. ივანიშვილი—ორი ფინია (ზღაპარი)—ნახ. ა. კანდელაკისა	14
ზებრა (წერილი)—ნახ. ნ. ფალავანდიშვილისა	16
ჭინ გამოიგონა ფოტო-აპარატი (წერილი)	16
გასართობი	გარეკანის მე-3 გვ.
რებუსები	გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანის 1-ლ გვერდზე ნახატი—„უცნაური მოგზაურები" შესრულებულია სოსო გაბაშვილის მიერ

გარეკანის მე-4 გვერდზე ნახატი—„მეგობრები" შესრულებულია ალ. გიგოლაშვილის მიერ.

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კაჭახიძე, რ. მარგიანი (პ./მგ. რედაქტორი), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფკოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4183

პატარას

აი, ეს მიწა, ბუნება—
ეს მოქარგული მთა-ბარი,
ვაზები, ჰურის ყანები—
ველებზე ოქროს ფაფარი;
შენია, შენით იცოცხლებს,
როგორც კი ერმობას გასცდები,
შენ მოგენდობა გულღიად,
როდესაც დავაქცევდები.

გიყვარდეს შენი ქვეყანა—
სიმართლის ფუძემდებელი,
იგია შოთას სამშობლო—
გონების მადიდებელი.

გახსოვდეს: სწორედ აქა დგას
დიდი სტალინის აკვანი,
დაიცავ, როგორც ამ მიწას
იცავდნენ მამა-პაპანი.

ირაკლი აბაშიძე
ნახატი ვაჟანგ ჯაფარიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვეთის ნაამბობი

გაზაფხულზე ტყეში იებსა ვკრეფდი. მოულოდნელად ვილაცამ წყრომით მითხრა: — რას ჩადიხარ, ადამიანო!

მივიხედ-მოვიხედე, არავინ იყო. ყველაფერს გაოცებული ვაკვირდებოდი, მაგრამ მაინც ვერაფერს მივხვდი. ბოლოს თვითონვე მითხრა:

— ნუ გეშინია, მე ვარ წყლის წვეთი, აი, ძირს რომ ძირხვენას ფოთოლი მიფენია. რადა ჰკლავ საცოდავ იებს! განა არ იცი, როგორ უხარიათ მაგათ გაზაფხული, სიცოცხლე?! მე ხომ წვეთი ვარ, მაგრამ სიხარულს მეც კი ვგრძნობ!

როცა ქვეყანა გაჩნდა, მეც მაშინ დავიბადე. მის შემდეგ სად არ ვიყავი, შემოვიარე ცა, ხმელეთი, ზღვები და მწვერვალები. რა არ მინახავს და გამომიცდია, მაგრამ იმ სიხარულისთანა კი ჯერ არსად არაფერი, რომელიც ერთი კვირის წინ განვიცადე.

დედას ფრონტიდან შვიდი წლის უნახავი შვილი დაუბრუნდა. გამარჯვებული, გმირი. პირველად რომ შეხვდნენ და ერთიმეორეს გადაეხვივნენ, დედას სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა. ერთი იმ ცრემლთაგანი მეც ვიყავი, მეც ვიზიარებდი მათ ბედნიერებას.

როსტომ საგითი

დ ე დ ო ბ ი ლ ი

მონადირე მამამ თავის შვილს, პატარა გურამის, ტყიდან კურდღლის ორი ბაჭია მოუყვანა. ბაჭიები იმდენად პატარები იყვნენ, რომ უდედოდ მათი გაზრდა შეუძლებელი იყო. გურამს, როგორღაც, ფიქრად მოუვიდა: ბაჭიები კნუტებში შეერია და კატისთვის მიეყვანა ძუძუს მოსაწოვებლად. კატას ეუცხოვა ბაჭიები, შორს დაიჭირა თავი, მაგრამ მალე შეეჩვია და დაუახლოვდა. თავის კნუტებთან ერთად ძუძუ მოაწოვა, აღზრდა დაუწყო, ხელს არავის ახლებინებდა. როცა, ერთხელ, გურამმა ბაჭიები ფანჯარასთან მაგიდაზე დასვა, კატამ ისინი უკანვე გადმოათრია.

ბაჭიები წამოიზარდნენ. ეზოში დაიწყეს ცანცალი. ერთ დღეს, მოულოდნელად, მეზობლის ავმა ძაღლმა დაგლიჯა ისინი, კატამ თავის კნუტებში ბაჭიები რომ ვერ დაინახა, დაღონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულადი წრუწუნა

— მგონი, ახლა კი დრო არის. ყველაფერი მიწყნარდა, ლამფის შუქმაც იკლო. ოჰო, აგერ ჩვენმა ანჩხლმა დიასახლისმაც მშვიდად ფშვინვა ამოუშვა. აი, ახლა კი დამრჩა ბურთი და მოედანი.

მსუნაგმა წრუწუნამ ულვაშებზე ხელი გადაისვა და დოინჯშემოყრილი თავის საბრძანებლიდან არხეინად გამოცუნცულდა.

— ჰმ, სძინავს ჩვენს ქალბატონს, ისე ტკბილად სძინავს, თითქოს ეს ავლა-დიდება მართლა მაგას ეკუთვნოდეს. ის კი არ იცის, რომ ამ დოვლათში მეც მიდევს წილი. რა ბედნიერი და კმაყოფილი ვარ! სულ მინდა ჯამბაზივით ვიხტუნო და ვიცეკვო... მხოლოდ ერთ რამეს ვერ შევრიგებივარ: ის დაწყევლილი კატა რა გასაჩენი იყო?!

განა ქვეყანას რა დააკლდებოდა, რომ ის უქნარა, გაიძვერა და ბოროტი არსება არ გაჩენილიყო?!

ოიჰ... იმის ხსენებაზე გამაჟრჟოლა, გუნება მთლად შემეცვალა... ახ, ნეტავ, ეხლა სადმე შემახვედრა! მე ვაჩვენებ იმას სეირს.

წრუწუნამ ბრაზმორევით მუშტი მოიღერა და ოთახის ყველა კუთხეს არხეინად დაურბინა. სად პურის ნამცეცი შესანსლა, სად მაკარონს ესტუმრა; დაურეცხავი ჯამ-ჭურჭელიც ააწკრიალა და შემდეგ მაგიდაზე შეხტა.

— ბიჭოს, აქ რა მშვენიერი სუნი ტრიალებს... ნეტა, რა იქნება?! მაგრამ ეს რა ამბავია? ამ ოთახში თითქოს მარტო მე ვბრძანებლობდი და ეს საიდან გაჩნდა აქ?!

— შენ, ეი! ვინ დაგპატიჟა, თავხედო, ამ ჩემ სამფლობელოში?!

განრისხებული წრუწუნა გაექანა. უნდოდა, თავის მზგავს არსებას დასტაკებოდა, მაგრამ ცხვირი სარკის ზედაპირს მაგრად დააძგერა, ემწვავა, უკან დაიწია და თათები ცხვირზე მოისვა. სარკეში გამოჩენილმა თაგვმაც იგივე გაიმეორა. წრუწუნას ახლა უფრო ბოუვიდა გული.

— ერთი შეხედე ამას! კიდეც რომ მაჯავრებს! შენ ეი, რომელი ხარ მეთქი, გამეცალე აქედან, თორემ ჭიასავით გაგსრეს!

წრუწუნა ყალყზე შედგა, ორივე თათი იერიშის მისატანად მოიმარჯვა და, როცა სარკეში იგივე გამეორდა, სარკესთან სულ ახლო მივიდა და სარკის ზედაპირს თათები აუსვ-ჩაუსვა.

— ნუთუ ეს მე ვარ! ამ პრიალა ქვაში მგონი მე ვჩანვარ! ჰო, ჰო, სწორედ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე იქნება. მინდვრად დამდგარ გუბეში ხშირად დამინახავს ჩემი თავი. კიდეც შევმკრთალვარ... მაგრამ ეს რომ მაგარია და წყალს არ ჰგავს? ჰმ, ადამიანს რა გაუჭირდება? ალბათ პრიალა გუბე გაყინეს და აქ დადგეს ჩასახედად. იჰ, რა კარგად ვჩანვარ! რა ლამაზი ვარ, რა თვალები მაქვს, რა ულვაშები!? ყველას მოვწონვარ, მაგრამ იმ მძინარე ქალბატონს კი ჭირივით ვძაგვარ. ნეტავი, რა დივუშავე?! იმ დღეს სკივრთან თვალი მომკრა და კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. შიშისგან სკივრზე შეხტა, ხელები და ფეხები აქნია, ყვირილით მთელი ქვეყანა შეჰყარა. ერთი ჰკითხეთ მაგ დალოცვილს, რომელი ვეშაპი, ან ვეფხი მე ვარ, რომ ვძგერებოდი და იქვე გამეგუდა!

რაღას ვიზამდი, მაგისმა კივილმა ისეთი თავზარი დამცა, რომ გავექანე და სწორედ მაგის საბნის ქვეშ შევძვერ, იქ დავიმალე. კიდევ კარგი, თვალი არ მოუკრავს, თორემ ამ სახლს ნამდვილად თავზე დამანგრევდა.

არა, ერთი ჰკითხეთ, განა იმდენს რას ვაკლებ, ასე რომ ამომიჩემა და მოსვენებას არ მაძლევს?!

ბევრი, ბევრი მაგის დაბნეულ ნამცეცებსა ვკრებ, გაურეცხავ ჭურჭელს, ღამე რომ დაჰყრის ხოლმე, უსათუოდ ჩემებურად მოვულხენ, უადგილო ადგილას პარკით ფქვილს რომ დასდებს, არ იცის რომ იქ წილს მეც დავიდებ?!

მაგ დაუდევარმა სახლი სუფთად შეინახოს, სურნელოვან ნაფცქვენებს აქა-იქ ნუ დაჰყრის და, როცა აქ აღარაფერს დავიგულებ, ავდგები და საყვარელ მინდვრებს ვესტუმრები, იმათი გულუხვობის ჭირიმე.

წრუწუნამ თავმოწონებით სარკეში კიდევ რამდენჯერმე ჩაიხედა, ულვაშები კოხტად შეისწორა. თავისი თავი იმდენად მოსწონდა, რომ სარკეს ვერ შორდებოდა. უცებ შეკრთა. მოულოდნელად ისკუპა, იატაკზე რბილად დაეცა და მიიმალა.

თურმე, მეორე ოთახში რაღაცამ გაიხმაურა, ჩვენს გულად წრუწუნას კატის კნავილად მოეჩვენა და თავის სოროს ისე სწრაფად იმიტომ მიაშურა.

ცქვიზი

ნახატები **შალვა ცხადაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყაროს დაბადება

— დაიბადა! დაიბადა! —.
ხმა გავარდა უცებ ტყეში...
ნეტავი, ვინ იშვა ქვეყნად,
ან ვინ გალობს ლურჯ ტევრებში?!
ვერცხლისფერმა მტრედის გუნდმა
ნეტავ, საით გადიფრინა?!
ასმა შველმა ასი ნუკრით
ტყე-ტყე საით გადირბინა?!
— დაიბადა! დაიბადა! —
ხმა დაირხა ისევ ტყეში,
ტოროლების ასი გუნდი
ალივლივდა ცისკენ მზეში.
...მთის ძირას კი, ვით სიცოცხლე—
მარადი და სანეტარო,
იებთან და ენძელებთან
ალიკლიკდა ცელქი წყარო:
— უჰ, რამდენ ხანს მძინებია,—
ჯერ არ გამიცინებია,
დავიბადე—თვალზე ლხენის
ცრემლი გამიბრწყინებია...
ამ მთას ხედავთ?—მის გულმკერდში
ვიყავ სიზმრად ჩასახული,
დედაჩემი ეს მთა არის,
მამაჩემი—გაზაფხული.
ახლა თქვენთან მოვფრენილვარ—
სიცოცხლის და შვების წყარო,
მხოლოდ თქვენდა სადღეგრძელოდ,
მხოლოდ თქვენდა სანეტაროდ...
მუხლმოღლილი გლეხი - კაცი
ჩემს წყალს დალევს, დაისვენებს,
ტყის ჩიტების ჭრელი გუნდი
ფრთებს ჩემს წყალში დაისველებს.
დამამშვენებს გლეხის ბიჭი
სათამაშო წისქვილებით,
ზამთარ-ზაფხულ ვიჩუხჩუხებ
და კვლავ მაინც ის ვიქნები:
ჩაუმქრალი სიცოცხლე და
სიხარული სანეტარო,
ყველასათვის საყვარელი
მთით შობილი ცელქი წყარო.

მურმან ლებანიძე

ნახატი **შ. ცხადაძისა**

ბაჭიები

ლიტვური ზღაპარი

კურდღლის ერთ ოჯახში პატარა ბაჭიები დაიბადნენ. დააკვირდა მამა თავის შვილებს და უთხრა:

— მე ულვაშები მაქვს და თქვენც უკვე ულვაშები ამოგვსლიათ. დიდები ხართ და აწი კი შეგიძლიათ, თქვენ თვითონ იშოვოთ თქვენი საზრდოო.

მას შემდეგ კურდღლები დაბადების პირველი დღეებიდანვე იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას — მშობლების გარეშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახაბერი

მოთხრობა

კარგა ხანს ფუსფუსებდა კახაბერი კარადის უკან. ბოლოს გამოვიდა ყვირილით:

— დედა, დედიკო, შემხედე, რა დიდი გავხდი!

დედამ შეხედა და გადაიხარხარა. კახაბერს ჩაეცვა მამის დიდი, თეთრი შარვალი, წელს ზევით ამოეწია და მაგრად შეეკრა თასმით. ტოტები აკეცილი ჰქონდა. ორივე ხელი იქითაქეთ ჩაეკიდა შარვლისთვის და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ზევით ექაჩებოდა, მაგრამ შარვალი მაინც გრძლად მიეთრეოდა იატაკზე.

— ახლა მე დიდი ვარ და ბებია ნინოსთან მივდივარ სტუმრად, — დაიძახა კახაბერმა, ჩაირბინა კიბე და მხიარულად გაიქცა.

ეზოში თავის მეგობარი მურია დაინახა; ვარდის ბუჩქთან ეძინა ჩრდილში.

— მურია, მურია, — შესძახა კახაბერმა, — გაიღვიძე, შემხედე, რა დიდი ვარ.

მურიამ ზარმაცად გაახილა თვალები, დაიღრინა და ყეფა დააპირა, მაგრამ, როდესაც შეათვალიერა კახაბერი და დარწმუნდა: დიდი კი არა, კვლავ პატარა კახაბერი იყო, ისევ დაწვა და დაიძინა.

კახაბერმა მიირბინა ბებია ნინოს აივანთან.

— ბებია ნინო, სტუმრად გეწვიეთ, მე ახლა დიდი ვარ...

ბებია ნინომ შეხედა და გაიცინა:

— უჰ, კახაბერ, რა დიდი კაცი გამხდარხარ, რამოდენა შარვალი გაცვია.

— ხომ გაგეხარდათ, ბებია ნინო, რომ დიდი გავხდი და თქვენთან მოვედი სტუმრად?

— ძალიან, ძალიან გამეხარდა კახაბერ, მობრძანდი, ჩაიზე დამეწვიე.

და ბებია ნინომ მაგიდასთან გვერდით დაისვა კახაბერი. მიართვა ჭიქით ჩაი, ხაჭაპური, ლამბაქით მურაბა და შეუდგნენ ჩაის სმას.

კახაბერმა დალია ჩაი, შეჭამა ხაჭაპური, შეჭამა მურაბაც, მაგრამ ლამბაქზე კიდევ დარჩა მურაბის ტკბილი, წითელი წვეთები და, რამდენიც არ ეცადა, კოვზით ვერ აიღო.

— ბებია ნინო, არ შეიძლება, დიდმა კაცმა მოლოკოს მურაბიანი ლამბაქი? — იკითხა კახაბერმა.

— არა, კახაბერ, დიდმა კაცმა არ შეიძლება მოლოკოს ლამბაქი.

— ბებია ნინო, მე რომ დიდი შარვალი გავიხადო, ხომ პატარა ვიქნები და პატარამ რომ მოლოკოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მგონია, კახაბერ, პატარასაც უნდა ყოფნიდეს მოთმინება...

— თუ მოთმინება არ მყოფნის, მაშინ!..

ბებია ნინოს გაეცინა, უნდოდა ეთქვა: მაინც არ შეიძლებაო, მაგრამ, კახაბერმა რომ დაინახა, ბებია ნინო იცინოდა, სწრაფად მიიტანა პირთან ლამბაქი და ისე გალოკა და მოასუფთავა, მორეცხილს დაამსგავსა.

საჩქაროდ გაიხადა დიდი შარვალი.

— სირბილს მიშლის,—სთქვა მან და გაიქცა ეზოში მურიასაკენ.

— ნეტავი, რატომ გაიცინა ბებია ნინომ? ხომ არ დამძრახა?! მე ხომ პატარა ვარ, ხომ პატარა შარვალი მაცვია,—ფიქრობდა კახაბერი და მირბოდა სათამაშოდ.

ნინო ნაკაშიძე

ნახატი **შალვა ცხადაძისა**

მელა და მამალი

ზღაპარი

წუწკმა მელამ მამალი დაიჭირა, კბილი ჩაავლო და შინისკენ გაცუნცულდა.

სოფლელმა გოგონამ შეხედა, მელა მამალს რომ მიარბენინებდა და ყვირილი მორთო:

— მელამ მამალი მოიპარა! მელამ მამალი მოიპარაო!

ამ დროს მამალმა უთხრა მელას:

— როგორ შეგიძლია ყველაფერი ეს უთქმელად მოითმინო. გეთქვა მაინც გოგოსათვის: —რა შენი საქმეა, მელამ მამალი მოიპარა თუ არაო?

მელას გოგონაზე გული მოუვიდა, გაბრაზებული შემოტრიალდა და გოგონას მიაძახა:

— რა შენი საქმეა, მელამ მამალი მოიპარა თუ არაო?

მამალმა დრო იხელთა, დაუძვრა მელას ბრჭყალებს, ხეზე შეფრინდა და სიხარულისაგან სიმღერა წამოიწყო:

— ყიყლიყოო! ყიყლიყოო!

ყ უ რ შ ა

გაიზარდა ჩემი ყურშა,
დავაჟკაცდა, გახდა დიდი,
სხვას არავის არ ვანდობდი,
თავად ვზრდიდი, თავად ვწრთვნიდი.
სადაც მინდა გავაგზავნი,
ყველგან წავა მთად და ბარად,
ხან კალათა მიაქვს კბილით,
ხან საჩქაროდ ვატან ბარათს.
ხანჯლებივით კბილები აქვს,
რომ ჰყეფს, თითქო ზარი რეკავს,
როცა მიმყავს სამწყესურში,
ფარას მარტო გაირეკავს.
სათითაოდ, მწყემსზე უკეთ,
იცნობს ყველა ცხვარს და ბატკანს,
მგელი ახლო როგორ მოვა,
თიკნის ბეწვსაც არ გაატანს!
თუ შინ არი, სახლს დარაჯობს,
დაბმული ჰყავს ჯაჭვით ბებოს,
უცხოს ფეხის ხმაზე იცნობს ,
წამსვე უნდა დაიყეფოს.
კიდეც მართებს!
შვილის მსგავსად
ბებომ მიტომ გამოკვება.
მალე საზღვრის მცველად წავალ,
ყურშაც ჯარში წამომყვება.

გრიგოლ აბაშიძე

ნახატი **ი. დიენოგორცევახი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნავით ზღვაზე ასეირნეს,
არ უგრძვნიათ დაღლა;
ზღვას უცქერენ პატარები
ნაპირიდან ახლა.
ზოგი ხტის და ზოგი წყალთან
სითამამეს იჩენს,
შეჰხარიან ზღვას და მასში
მობანავე ბიჭებს.
ყურს უგდებენ ტალღის ხმაურს,
ტალღის შრიალს მხოლოდ,
ბანაობა სურთ და სურვილს
ალარ უჩანს ბოლო.
მზეც ცხრა თვალით ზღვას დაჰხარის,
ნისლი ყველგან გაჰქრა,
კარგი დღეა, მაგრამ ტალღის
ეშინიათ, რა ჰქნან?!
ნავით დიდხანს ასეირნეს,
არ უგრძვნიათ დაღლა;
შეჰხარიან ზღვას ცელქები
ნაპირიდან ახლა.

გიორგი კაჭახიძე
ნახატი **ალ. გიგოლაშვილისა**

ჩიტუნიავ!

ჩიტუნიავ, რა კარგი ხარ,
რა ნაზი და რა პატარა.
ნეტავ, ერთხელ შენთან ერთად,
ველ-მინდვრები დამატარა!
მსურს, რომ ჩემთან იყო მუდამ,
ალარ გექნეს ჩემი რიდი,
მოდი, სარკმელს გამოვაღებ,
მოდი, ჩემთან შემოფრინდი!
გეხვეწები, ნუ მიჰფრინავ
ულრან ტყეში და შორს მხარეს,
ჩემთან იყავ, ჩემს სარკმელთან
იფრთხიალე, გამახარე.
ჩიტუნიავ, რა კარგი ხარ,
რა ნაზი და რა პატარა,
ნეტავ, ერთხელ შენთან ერთად,
ველ-მინდვრები დამატარა!

ვერა შუბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოროტი მგლისა და მელას ამბავი

რუსული ხალხური ზღაპარი

ერთხელ ავად გახდა ნადირთ მეფე – ლომი. ყველა მოვიდა მის სანახავად, არ დაკლებია არც ერთი ნადირი, რომელიც კი დედამიწაზე ცხოვრობს. ვერ მოვიდა მხოლოდ მელა, ვერ ინახულა ავადმყოფი მეფე. დააბეზღა იგი მგელმა.

— მხოლოდ მელა ვერ მოვიდა შენ სანახავად მეფეო.

ლომმა გაგზავნა დამბეზღებელი მგელი მელას მოსაძებნად:

— ნახე, ერთი მაგრა უთაქე და აქ მომგვარეო.

ბოროტი საქმის გაკეთება უნდოდა მგელს მელასათვის, ის კი არ იცოდა, თვითონ რომ უარესი მოუვიდოდა.

მოიყვანა მელა.

ლომი შეეკითხა:

— რატომ არ მინახულეო.

მელამ უპასუხა:

— მთელი ქვეყანა შემოვირბინე, შენ გასაკურნავ წამალს ვეძებდი. როგორც იქნა ერთ დედაბერს მივაკვლიე და მან მასწავლა წამალი: ცოცხალ მგელს ტყავი გააძრეთ და ავადმყოფს თავი შეუხვიეთ იმ ტყავითო, ავადმყოფი უსათუოდ განიკურნებაო.

ეცნენ მგელს და დაუწყეს ტყავის გაძრობა. მგელი აღრიალდა:

— ვაი, ძმებო, ხედავთ რა საშინლად ვისჯები, რა უბედურად ვკვდები.

ასე დაემართება ყველა ტყუილუბრალოდ დამბეზღებელს.

თარგმნილი **შალვა გვინჩიძის** მიერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიბლიას შვილობილი

ცხელოდა.

ხევში ღელესთან ჩიტებს მოეყარათ თავი, მწვანეში შექუჩულიყვნენ და ისვენებდნენ.

აქ იყვნენ: ჩიტი თოხიტარა, ცხრამუცელა ჩიტუნია, ბოლოცეცხლა, ბუზიჭერია, მაისის ღამის მოსიყვარულე ბულბული და მუდამ ნაღვლიანი ბეღურა.

ისინი ყღურტულითა და ჭიკჭიკით აცნობდნენ ერთმანეთს თავიანთ თავგადასავალს, თავიანთ მწუხარებასა და სიხარულს.

ამ ყოფაში რომ იყვნენ, უეცარმა ხმაურმა შეაკრთო ისინი.

ორი გუგული ფრთების ფარფატით დაფრინდა მათ წინ. ერთი დიდი იყო, მეორე პატარა.

პატარა გუგული დედოფალასავით იყო ჩახატული: მოყვითალო-მომუქო ფერები მის გარეგნობას საამო სანახავად ხდიდა. ლამაზს ნეკერჩხლის ფოთოლში გახვეული რაღაც ეჭირა ნისკარტით.

დაფრენის უმალ ტვირთი ძირს დასდო, სწრაფად გასწორდა და დიდ გუგულს გვერდში ამოუდგა.

ჩიტები დაფრთხნენ, გასაფრენად მოემზადნენ.

— ნუ გეშინიათ,—სთქვა დიდმა გუგულმა და დამფრთხალი ფრთოსნები შეაჩერა.

— ჩვენ მიმინო გვეგონე,—გაეხუმრა ბუზიჭერია.

ჩიტები დამშვიდდნენ.

— განა არ ვიცი,—განაგრძო გუგულმა,—ხშირად მიმინოს გვადარებენ, მაგრამ, ვფიცავ, ერთხელაც კი არ მიფიქრია თქვენზე ცუდი, ახლა ნიბლიასთან მოვედი, შვილობილი მოვუყვანე; ჩვენ მალე მოგვიხდება თბილ ქვეყნებში გადაფრენა, იქ უნდა დავიზამთროთ და მინდა, ნიბლიას ნათესაობა არ დავკარგო.

ნიბლიამ გუგულის ლაპარაკი ვერ გაიგო. გაკვირვებით შესცქეროდა. ბოლოს შეესიტყვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ! რომელი შვილობილი?!

— აი, ეს, — პატარა გუგულზე ანიშნა დიდმა გუგულმა, — შენი გაზრდილია. შენ როდესაც შინ არ იყავი, მე ჩუმად ჩავდევი შენს ბუდეში კვერცხი. იმ კვერცხიდან ეს გუგული შენს შვილებთან ერთად გამოიჩეკა და გაიზარდა. ახლა აგერ მოგიყვანე.

— რაღაც მახსოვს, კვერცხები ბუდეში ბევრი მეჩვენებოდა. ერთი ცალი სხვებზე დიდი იყო. კინაღამ ამოვაგდე ბუდიდან. ბოლოს გადავიფიქრე, დამენანა, ამასაც გამოვჩეკ მეთქი. მაშ შენი იყო დანამატი კვერცხი?

— ჩემი იყო, — უთხრა გუგულმა ცოტა დარცხვენით.

— ბარტყების დაზრდისას სივიწროვე მქონდა ბუდეში. ამ მდგომარეობამ ჩემი საკუთარი სამი შვილი იმსხვერპლა.

დაღუპული შვილების მოგონებამ იგი აატირა.

პატარა გუგულმა დამნაშავესავით დაჰხარა თავი.

ატირებული ნიბლია ბოლოს დამშვიდდა. შვილობილი თავისთან მიიყვანა და მიეხალისა:

— მოდი, ჩემო გაზრდილო, რამხელა გაზრდილხარ, პატარაც საჩინო მყავდი ბარტყებში, სხვებზე ჩქარა იზრდებოდი, ჭამაც მეტი გიყვარდა. აკი მიკვირდა, ასეთი მჭამელი რა გამიჩნდა მეთქი. ბევრი ლამე მიტეხია თქვენს აღზრდაში, ბევრი შიში გამომივლია! კარგია, რომ მოგაგონდი, შორეულ ქვეყანაშიაც ნუ დამივიწყებ, გენაცვა! გახსოვდეს ჩვენი მშობლიური ტყე, მინდორი, მწვანე ბუჩქნარი, ფერადი ყვავილები.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ გამზრდელი და შვილობილი, უცებ ბეღურამ წამოყო თავი, პირისპირ დაუდგა დიდ გუგულს და უსაყვედურა:

— როდემდის გინდა ასე ქურდულად ჩაუდო სხვებს ბუდეში კვერცხი და შვილები აჩეკინო? კარგად ვიცით, მთელ დღეს უსაქმობაში ატარებ. „კაფე-თესეო“ სხვას აფრთხილებ, თავად კი შვილების გამოჩეკაზედაც არ ფიქრობ. მხედავ, როგორი პატარა ვარ? ჩემისთანა დალეული ჩიტი მეორე არ მეგულება ქვეყანაზე, მაგრამ შვილებს მაინც ვჩეკ და ვუვლი. მინდა დედის საპატიო ღირსება მქონდეს. მართალია, ბულბულიც მღერის დღეღამ, მაგრამ მშობლების წესსაც ასრულებს.

ბულბულმა ჩიტ-ბეღურას შექებაზე ყელი მოიღერა.

პატარა გუგულმა კი დედას უკმაყოფილო თვალით გადახედა.

— არა ვარ ასეთი საყვედურის ღირსი, — წყენით სთქვა დედა-გუგულმა, — ჩვენც მწვავედ განვიცდით, რომ ჩვენს გვარს ოჯახი არა აქვს... რახან არ გცოდნიათ, ამის მიზეზს ახლავე გიამბობთ.

ჩიტები მოსასმენად მოემზადნენ.

— მეგობრებო, — განაგრძო გუგულმა, — ჩვენ, გუგულები, მხოლოდ სტუმრად დაგვიანებით ჩამოვდივართ აქ. მაშინ ბუდე უკვე აგებული გაქვთ. კვერცხებსაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალე დებთ გამოსაჩეკად. ჩვენ კი ექვს დღეში მხოლოდ ერთ კვერცხს ვდებთ. მათ შეგროვებას მე ექვს კვირას მოვუნდებოდი. მერე, კიდევ, კვერცხებს ორი კვირა უნდა ვაჯდე. ამასობაში ჩვენი წასვლის დროც მოაღწევს. ამ დროს ბარტყები ჯერ კიდევ ტიტვლები იქნებიან, შეუმოსავნი და გადაფრენას ვერ შესძლებენ. აქ კი ვინ იკისრებს მათ მოვლა-პატრონობას? თქვენ თუ არ დაგვეხმარეთ, კვერცხები თუ არ დაგვიჩეკეთ, რა გვეშველება? თქვენ რომ არ გვეხმარებოდეთ, ჩვენი გვარი აქამდე გადაშენდებოდა.

გაკვირვებულმა ჩიტებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რახან ასეა, გვიპატიებია დანაშაული. სხვის ბუდეში კვერცხს რომ სდებთ, გვეგონა: ეს სიზარმაცით მოგდიოდათ გუგულებს.—ფრთების ფრთხიალით სთქვა თოხიტარამ.

გუგულები დაფიქრდნენ, შემდეგ შეხვეული ნეკერჩხლის ფოთოლი ნიბლიას გადასცეს, თანაც მოიბოდიშეს:—ცოტა ძღვენი მოგიტანეთო, მშვიდობით თუ დავბრუნდით თბილ ქვეყნიდან, მეტ პატივსა გცემთო.—და გუგულები გაფრინდნენ.

ეკგენი ფურცხვანიძე

ნახატები შალვა ცხადაძისა

თვალჟუჟუნა ჟუჟუნა

პაწია ჟუჟუნა სიხარულიძეს

თვალჟუჟუნა ჟუჟუნა,
პაწაწინა ქალო,
ცელქო, ეშმაკუნა,
გოგოვ, ვერცხლისწყალო,
მუდამ ტოკავ, სულ ხტი,
სულ ჭიკჭიკობ, გალობ,
თვალჟუჟუნა გოგოვ,
პაწაწინა ქალო!
თვალჟუჟუნა ჟუჟუნა,
ქალო, პაწაწინა!
დედიკონამ აკვანში
წყლან ჩაგაწვინა,
შენ იცინი, ცმუკავ,
რად არ დაგეძინა?!
დაიძინე, გოგოვ,
ნანი და ნანინა.
მამის სიხარულო,
დედის ნეტარებავ,
შენ იმიტომ ცმუკავ,
გაზრდა გეჩქარება!
გაიზარდე ჩქარა,
გაიზარდე მალე!
მომავალი გიხმობს,
ჩვენი დრო ბრწყინვალე;
მაშ, იძინე მშვიდად,
ქალო პაწაწინავ!
ჩვენს დიდ საბჭოეთში
ოქტომბერი ბრწყინავს,
ჩრდილი ვერ დაჰფარავს
შენს ჟუჟუნა თვალებს!
გაიზარდე ჩქარა!
გაიზარდე მალე!

ილია სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ითხი თიკანი

ზამთრის ღამე თავისას არ იშლიდა: ჰქროდა ქარი, წვიმდა, ციოდა. შესაძლებელი იყო, სადმე მგელიც გამოჩენილიყო, ან ტურა, ან სხვა ნადირი. მაინც გაბრუნდნენ თიკნები, დაადგნენ ვიწრო ბილიკს. ცოტა გაიარეს და ერთ ფრიალო კლდესთან შენიშნეს უშველებელი ბებერი წიფელი. წიფლის ერთ დიდ ტოტზე კლდის თავიდან გადახტომაც შეიძლებოდა. ისკუპა ერთმა თეთრმა თიკანმა და დახტა ტოტზე. ისკუპა მეორემაც, მერე მესამემაც.

ასე მოიკალათეს ხეზე. ახლა მგლის შიშიარა ჰქონდათ. მხოლოდ ძილზე ვერც კი იფიქრებდნენ. მძინარე ადვილად გადმოგორდებოდა ტოტიდან და ხრამში ჩაიჩეხებოდა. გარდა ამისა, ისე ციოდა, რომ თიკნები სულ ცახცახებდნენ.

ნაშუალამევს თოვა დაიწყო. ქარიშხალი თოვლის ფიფქებს თვალებში აყრიდა თიკნებს. საწყლები! იდგნენ აბუზულები და კანკალებდნენ. როგორ ნატრობდნენ ახლა ისინი ძმის თბილ, უშიშარ ბინას!

როდესაც გათენდა, თოვაც შეწყდა და ქარიც მინელდა. გადახტნენ თიკნები ისევ უკან, მიწაზე. მისჩერებოდნენ და ვეღარ სცნობდნენ ერთმანეთს. გუშინ ნაკადულთან რა ლამაზები იყვნენ, სუფთა, დაწყობილი ბალნით, მშვიდი, ოდნავ მედიდური თვალებით, ახლა კი... წელში მოხრილიყვნენ, გაბუძგულიყვნენ, თვალები ამღვრევოდათ და შემინებულებს ჰგვანდნენ.

იდგნენ ასე შეწუხებული თიკნები და ფიქრობდნენ, თუ რა ელონათ.

— წავიდეთ ჩვენს ძმასთან, შევეხვეწოთ, იქნებ შეგვიბრალოს.— სთქვა ერთმა.

ორივეს მოეწონა რჩევა, რადგან ისინიც ამ აზრისანი იყვნენ.

ცოტა ხნის მერე თიკნები ქოხის კარზე აკაკუნებდნენ.

— თქვენ თუ კარგი სულები იყავით,— ნელა ლაპარაკობდა შიგნიდან ნებივრად გამხლართული ჭრელი თიკანი,— რას დაეხეტებით ასეთ ავდარში უგზოუკვლოდ? დღეს ძილის ამინდია, წადით, დაიძინეთ!

ახალდათოვილ ტყეში ძალიან ციოდა, ღამე ხეზე გაიყინებოდნენ და ხრამში ჩაიჩეხებოდნენ, სხვა რამე უნდა მოეფიქრათ. გაჭირვებამ გზა ასწავლათ: გადასწყვიტეს სახლის აგება. შეარჩიეს შესაფერი

*) დასაწყისი. იხ. „ოქტომბრელი“ № 7

ადგილი, მოზიდეს ფიჩხი და სარე-ბი. დაასვეს სარები ორმწკრივად, მერე მათ შორის ფიჩხი ჩაჰყარეს, ფიჩხი კიდევ გარედან ტალახით შელესეს. როცა მზე გადაიხარა, კედლები უკვე აყვანილი ჰქონდათ. საღამომდე როგორმე უნდა მოეს-წროთ დახურვა. ჯერ საჭირო იყო დირის შოვნა, რომელიც სახურავის კოჭებს დაიმაგრებდა.

წავიდა ერთი თიკანი დირის მოსაძებნად. მალე იპოვნა სწორი მორი, რომელიც დირედ გამოდგე-ბოდა. დაებღაუჭა მორს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. მობრუნდა უკან და ძმები წაიყვანა. დაებღაუჭნენ სამივენი, მოიდვეს მორი ზურგზე და არხეინად გამოსწიეს უკან.

გადვეს დირე, გააწყვეს კოჭები და მალე, როცა მზე ჩავიდა, სახლი უკვე დახურული იყო. დაბინდებამ-დე სახლს მაგარი კარი გაუკეთეს. დაკეტეს მერე კარი, დაწვნენ და ჩაეძინათ.

მეორე დღეს ადგნენ ჩვენი თა-ნები, გავიდნენ მინდვრად და ფეხე-ბით გადაფერთხეს თოვლი. სძოვეს ბალახი, თან ცოტაოდენი თივაც მოაგროვეს და შინ წამოიღეს.

ჭრელი თიკანი კი იწვა ძველ ქოხში, უდარდელად შეექცეოდა დედის დანატოვარ თივას და გა-რეთ აღარ გამოდიოდა, მაგრამ თი-ვის მარაგი მალე გამოელია.

შიმშილმა და სიცივემ მალე დააძაბუნა ჭრელი თიკანი. დასუსტ-და, შვილდივით მოიღუნა, ლანდს დაემსგავსა. ბოლოს ისე დავარდა, რომ აღარც შიმშილს გრძნობდა და აღარც წყურვილს. ეგდო ქოხ-ში თვალებდახუჭული და მოკუნ-ტული. აღარაფერს ფიქრობდა. ასე ნელ-ნელა, შეუმჩნევლად დაილია ჭრელი თიკანი!

მოშორებით კი, თავიანთ ახალ კარმიდამოში, თეთრი თიკნები ერთ-მანეთს ეხმარებოდნენ და ადვილად აღწევდნენ თავს განსაცდელს.

ნ. ნაბრელი

ნახატი ნათელა იანქოშვილისა

ორი ფინია

ზღაპარი

სოფლის ბოლოს, ერთი-მეორის მეზობ-ლად ცხოვრობდა ორი ფინია—ყურშა და ქედანა. ყურშას პატრონი ძუნწი იყო, ქედანასი—გულუხვი. ყურშას სამ დღეში ერთხელ თუ გადმოუგდებდა პურის ნა-ტეხს თავისი პატრონი, ქედანას კი საჭ-მელს ხშირად სთავაზობდნენ.

ებრალებოდა ქედანას ყურშა. "საწყა-ლი ჩემი ძმობილი", იტყოდა ხოლმე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავისი ულუფიდან მოზრდილ ნაჭერს უწილადებდა.

კარგახანს ცხოვრობდნენ ასე მეგობრულად.

მაგრამ ყურშა შურიანი იყო და ერთი ცუდი აზრი უტრიალებდა თავში:

— მოდი, ქედანას როგორმე თავიდან მოვიშორებ და მისი წილი საჭმელი სულ მე დამრჩება!—ფიქრობდა იგი.

ერთ დილას, როცა ფინიებმა კარგად ისაუზმეს, ტყის პირას გავიდნენ გასართობად. ჭიდილი დაიწყეს და დიდხანს იბღლარძუნეს. ეცემოდა ხოლმე ყურშა ქედანას და განზრახ წაიქცეოდა, ვითომდა შენ უფრო ღონიერი ხარო.

— შენი ღონე რომ მე მომცა, ტყეში არც ერთ მგელს არ გავაჭაჭანებდი!—უთხრა ყურშამ ქედანას.

— რას ამბობ, ყურშა, მე რა ღონე მაქვს, მგელს ერთ ლუკმადაც არ ვეყოფი!—სთქვა ქედანამ.

— აგრე გგონია? თურმე, რა მხდალი ყოფილხარ. მე ბებიაჩემისაგანაც კი გამიგონია, რომ ფინიას, თუ ზურგზე ჭრელი წინწკლები აქვს, ლომიც ვერ მოერევა.

— რატომ დამცინი, ძმობილო?!—იწყინა ქედანამ.

— დედას გეფიცები, არ დაგცინი. რატომ გგონია ასე? შენს პატივისცემას, მგონი, ჩემი შვილიშვილიც ვერ გადაიხდის! პირი არ უნდა გამიხმეს, რომ შენ დაგცინო?!

— მაშ, გულით მეუბნები?

— მეტი რა დაგიფიცო... წუხელ მგელმა თქვენი ბატკანი რომ მოიტაცა, მე არ შევარჩენდი.

— მაშ, წავიდე ტყეში მგლის საძებნელად?

— აქამდის არც კი უნდა დაგეგვიანებინა. მერე როგორ გაეხარდება შენს პატრონს, საუკეთესო ხორცის ნაჭრებს დაგიყრის.

გაბრიყვდა ქედანა. მეგობრის წაქეზებამ ჭკუა დაუბნია და ტყეში შეინავარდა, მაგრამ იმას რომ იქ დღე დაადგა, იმისთანა ჩვენს მტერს! საწყალი ქედანა იმ დღიდან არ დაბრუნებულა შინ.

ყურშა, ამის შემდეგ, ყოველდღე დადიოდა ქედანას პატრონთან, მაგრამ პატრონი ქედანას ეძებდა და ყურშას დანახვა სულაც არ ეჭაშნიკებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ყურშა ჩვეულებრივ კუდის ქიცინით შევიდა ქედანას პატრონის ეზოში, უცებ შეკრთა: ქედანას პატრონს ვეებერთელა ნაგაზი მოეყვანა, ყურშას ყეფა-ღრენით გამოეკიდა და სულ თავ-პირი დაუსისხლიანა.

ყურშა ამის შემდეგ კუჭგამხმარი იჯდა თავის ეზოში და იმ ნაგაზის შიშით გარეთ გამოსვლას ვერა ბედავდა.

გიორგი ივანიშვილი
ნახატები **ა. ქანდელაკისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ნ. ფალავანდიშვილისა

ზებრა

— ბავშვებო! კარგად დააკვირდით ამ ნახატს. ეს უცნაური ცხოველი, რომელსაც ზებრას ეძახიან, აფრიკაში ცხოვრობს. ერთი შეხედვით იგი ჩვენებურ ვირს მოგაგონებთ, მაგრამ ცოტა მასზე უფრო დიდია. მასაც ვირივით დიდი ეურები აქვს, ხოლო ტანი აჭრელებული შავი და ღია ყვითელი ზოლებით.

ზებრა ძლიერი და ამტანი ცხოველია. მეტად ფრთხილი, განსაკუთრებით სმენა აქვს განვითარებული. იგი ფოთლის უბრალო ფაჩუნსაც კი გებულობს.

ვინ გამოიგონა ფოტო-აპარატი

ფოტო-აპარატი ფრანგმა მხატვარმა ლუი დაგერმა გამოიგონა.

1839 წელს პირველად გამოქვეყნდა დაგერის გამოგონება. იგი მზის სხივების დახმარებით სურათის გადაღებას, ან დახატვას აწარმოებდა.

ლუი დაგერის პატივსაცემად, მისი გვარის მიხედვით, ასეთ აპარატს „დაგეროტიპი“ უწოდეს. მაშინ ის ძალიან უბრალო იყო.

ჩვენშიაც იღებდნენ წარსულში ასეთი აპარატით სურათებს.

დიდ ქართველ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ჰქონია სურათი დაგეროტიპით გადაღებული, რომელიც შემდეგ შემთხვევით, ხანძრის დროს, დამწვარა.

ლუი დაგერის გამოგონება ჩვენ დროში თანადათანობით გააუმჯობესეს, და ასე შეიქმნა თანამედროვე ფოტოგრაფია.

ᲒᲐᲜᲐᲠᲗᲝᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის მიიღებს გოგი ველოსიპედს?

გოგის, რომელიც ახლა 12 წლისაა, დაპირდნენ: აჩუქონ ველოსიპედი იმ წელს, როცა მისი წლოვანება იქნება მესამედი მამის წლოვანებისა. გოგის მამა ახლა 56 წლისაა.

როდის მიიღებს გოგი ველოსიპედს?

როგორ მოხდა ეს?

თეფშზე 12 კვერცხი ეწყო, 12 ბიჭმა თითო კვერცხი აიღო და მაინც თეფშზე ერთი კვერცხი დარჩა. როგორ მოხდა ეს?

რამდენი წლისაა თამრო?

სამი წლის შემდეგ თამრო სამჯერ მეტი ხნის იქნება, ვიდრე იგი იყო სამი წლის წინათ. რამდენი წლისაა ახლა იგი?

სახუმარო გამოცანა



კარგად დააკვირდით ამ ნახატს. რამდენი კუბიკია? ახლა მარჯვნით შეატრიალეთ და დააკვირდით, იმდენივე კუბიკია თუ არა?

პასუხები

ჟურნალ „ოქტომბრელის" № 7-ში მოთავსებულ გამოცანებზე: **1. კუ; 2. ყვავი; 3. ვაზი; 4. ბორანი.**

ჟურნალ „ოქტომბრელის" ამავე №-ში მოთავსებული რებუსები წაიკითხება ასე: **1. აბეზარი; 2. ნახერხი.**

ᲠᲔᲑᲣᲡᲔᲑᲘ

1

2

46-15
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 5 მან.

ნახატი ა. გიგოლაშვილისა

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი

ყველას უყვარს ჩვენი ზურა
მავთვალწარბა, ქოჩორა,

ეზოშია, წიგნს კითხულობს
და ყურს უგდებს ბოჩოლა.

გამომცემლობის № 95 სტამბის შეკვ. № 1556 ტირაჟი 7000. ფუ 11644

ფ. ბ. ბერიძის სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კავშირის მრეწვ. სამინისტროს ლიითოგრაფიაში.